

ლა მანმის კონკრეტული მიზნები

ლა მანმის
პარტნიორები

IUC, BG

ASAU, AM

GSU, AM

SEUA, AM

YSU, AM

BSEU, BY

BTEU, BY

GSTU, BY

VSTU, BY

CU, GE

GTU, GE

IBSU, GE

TSU, GE

CSU, MD

MSU, MD

SAUM, MD

USB, MD

CSTU, UA

EUNU, UA

NTU KhPI, UA

LAC, UA

LNTU, UA

LPNU, UA

ONEU, UA

UTH, GR

ASD, FR

IPB, PT

UCB, UK

CC, UK

- მონაწილე პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში არსებული ლიდერობის უნარების და გავრცელებული მმართველობითი მოდელის სტრუქტურება;
- იმ ზოგადი გარემო და სოციალურ-ეკონომიკური პირობების სტრუქტურება, რომლებშიც უმაღლესი განათლების მოდერნიზაციის პროცესები ვითარდება;
- ევროკავშირის ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ აპრობირებული და ეფექტური მართვის მოდელის გაზიარება სომხეთის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვას და უკრაინის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის;
- პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების უმაღლესი მენეჯმენტის ტრანსფორმაციული მმართველობითი უნარების გამომუშავება და განვითარება;
- უზრუნველყოფა, რომ ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელმძღვანელებმა ერთმანეთს შორის ინტერაქტიული ურთიერთობის საფუძველზე მოახდინონ უმაღლესი განათლების სფეროში, მენეჯმენტის კუთხით, საკუთარი აპრობირებული და საუკეთესო გამოცდილებების გაზიარება;
- პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და უმაღლესი საგანმანათლებლო სფეროში მონაწილე სხვა ძირითადი დაინტერესებული მხარეებისთვის დიალოგისა და ერთობლივი პრობლემის გადაწყვეტის რეჟიმში მუშაობისთვის ბაზისის შექმნა და ხელშეწყობა. კერძოდ, სტუდენტების მხრიდან ინიციატივების სტიმულირება;
- ცალკეული რეგიონის უმაღლესი განათლების სფეროზე მორგებული სტრატეგიის (მენეჯმენტის კუთხით) შემუშავება, განვითარება და ხელშეწყობა;
- ცნობიერების ამაღლება ევროპის უმაღლესი განათლების მოდერნიზაციაზე და პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების რეფორმების გატარების საჭიროებაზე.

ლა მანმის ძირითადი საქმიანობა და შედეგები

- თვითშეფასება და ლიდერობის/მართვის უნარების და მოდელის გარე ანალიზი პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში;
- ცვლილებები გარდამავალი საზოგადოებების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში: პარტნიორ ქვეყნებში უმაღლესი განათლების სფეროს მოდერნიზაციის პროცესებზე საფუძვლიანი კვლევითი ანგარიში და მათი სავარაუდო გავლენა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებზე.
- უმაღლესი განათლებაში ინოვაციური ევროპული მმართველობის აპრობირებული მეთოდების სახელმძღვანელო;
- უნარების გამომუშავების სამოქმედო გეგმა, რაც მოიცავს სილაბუსის და სახელმძღვანელო მასალების განვითარებას (Change Management-ის კუთხით)
- ლიდერობისა და change management-ში ტრენერების მომზადება, რომელსაც თანსდევს ადგილობრივი მრავალრიცხოვანი ტრენინგები პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.
- ევროკავშირის და პარტნიორი ქვეყნების უმაღლესი განათლების სფეროს წამყვანი ფიგურების და სხვა ძირითადი დაინტერესებული პირების ტრანსნაციონალური თანამშრომლობის ხელშეწყობა ლა მანმის პროგრამის ფარგლებში.
- აღმოსავლეთ სამეზობლო რეგიონში უმაღლესი განათლების სფეროში ცვლილებების მართვის სტრატეგიის შემუშავება და განვითარება.